შაბათი 1919 წ. მარტის 1 № 47
ფელიეტონი მეხუთე

შაბათი 1919 წ. მარტის 1 № 47
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი **პეტიტისა** პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გაპოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15--73**

თ-დი იოსებ ბეჟანის ძე რატიშვილი, ბარბარე ბეჟანის ასული ჩიკოიძე, კნ. ანასტასია ბეჟანის ასული და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჯანდიერები შვილებით და კნ. თამარ ბაგრატიონ მუხრანბატონისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1 მარტს, 5 ნახ. საათზე გარდახდილ იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის პანაშვიდი

თ-დ ბეჟან იოსების ძის

რატიშვილის

ხულის მოსახსენებლად. 1—2174—1

ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ქეთევანი, შვილი თეიმურაზი, მამა სოლომონ მიხეილის ძე და დედა ნატალია ანდრიას ასული ჯაფარიძეები, სიძე ვასილ გიორგის ძე ფურცელაძე, ბიძა ივანე და დეიდა სოფიო პეტრეს ძენი ეპიტაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 მარტს კვირას, 12 საათზე დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

ალექსანდრე სოლომონის ძე ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად პეტრე-პავლეს ეკლესიაში.
1—2173—1

დარო და მათე იანქოშვილები, შვილები: ბაბო, ელისო, თამარო, ნუნუ, თეზიკო და ქეთო გულისაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველისა დის, მეორისა ცოლის დის და დანარჩენთა დეიდის

სოფიო გრიგოლის ასულის

ალექსი—მესხიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე, თომას (კვირაცხოვლის) ქუჩა № 28. გამოსვენება კვირას, ანჩხატის ტაძარში 10 საათზე, დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე.
1—24—1

მოიკითხეთ ყველგან

ღვინო

ჩაჩიბაიასი

(8—2087—7)

ახალი გრანდიოზული

ცირკი

(მიხეილის პროსპ. ეფიმოვების ყოფილ შენობაში)

როაკიც

დღეს შესდგება დიდი გრანდიოზული წარმოდგენა

ნონ-პლიუს-ულტრა

პირველი გასტროლი სახელგანთქმულ მეველისიპედე M-lle კლარის მონაწილეობით. ტრიუკები ბუტულკინისა. ჩემპიონი სერგი სამოდუროვი გააკეთებს ტრიუკებს მძიმე გირებით. გასტროლი შეუდარებელ კომიკოსების ძმ. ვინიჩენკოებისა, დებიუტები გიმნასტების ძმ. რუდლიერების. აკრობატკების მართა ბრუნოსის, თავის პარტნიორით კარლოსით. გასტროლი სახელგანთქმულ ცხენზე მოჯირითის M-e სტრაკოის. კლოუნები ძმ. იონავები. კინტოს გამოსვლა, კუპლეტისტების და სხვ.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახელმწიფო თეატრი.

ორშაბათს, 3 მარტს, 1919 წელს „კავშირი-"ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვასო აბაშიძის საგანეფისოთ

ზანუმა

4 მოქ. ა. ცაგარლისა.

პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა. — დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. — მსახიობთა კავშირის დირექცია.

შემდეგი წარმოდგენა პარასკევს, 7 მარტს. მზადდება:

არლეელი ქალი

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 1 მარტს, დილით **პოროშინის** ბენეფისი

მონაწილეობენ შულგინისა, შვამბერგის, იანსა, კანშინისა, პოლიაევისა და ისეკი

ნერონი

საღამოთი ბენეფისი **ზალიპსკისა** საღამოთი ბენეფისი

მონაწ.: საბანეევა, ზალიპსკი, ნიკოლსკის

ჰოფმანის ზღაპრები

2 მარტს დილით **„ევგენი ონეგინი"**; საღამოთი საბანეევის, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით **„ლაკმე"**.

სამშაბათს, 4 მარტს ტ. ი. საბანეევასი, სარაჯიშვილისა და ვრონსკის მონაწილეობით **„ტრავიატა"**, ოთხშაბათს, 5 მარტს **„დემონი"** ქართულ ენაზე. ხუთშაბათს 6 მარტს ტ. ი. საბანეევას, მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ისეკას მონაწილეობით **„ჰუგენოტი"**.

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის

სამპურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომნებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.
(12—1102—7)

მედიცინის დოქტორი

ა. ბ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.
60—2171—1

პინეამო მინიონი

გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.

დღეს ჩვენს ეკრანზე

რიმსკი — ჩაროვა

მხატვრულ სურათებში

სიცვდილის დუქანი

(КАБАЧЕКЪ СМЕРТИ)

(ვანდა)

დრამა 5 მოქ.

სეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.

12—5

სომხეთის უნარი

ბევრჯერ აღვინიშნავს, რომ სომხები არ უშვებენ შემთხვევას, თავიანთ ბედით დაინტერესონ გარეშე სახელმწიფონი და მათი გავლენა გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოთ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ევროპის სახელმწიფოებს და ამერიკას.

როგორც კი დაიწყო საერთაშორისო ომი სომხები შეუდგნენ სომხური საკითხის პროპაგანდას. ამერიკელი დეპუტატები, ინგლისის პალატის წევრები, ანატოლ ფრანსი, პელდებანელი, რუსეთის ყველა დეპუტატები და საზოგადო მოღვაწეები ერთხმად ალაპარაკდენ სომხების ბედზე. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ყელგამოჭრილი ზეითუნელი სომეხი დაუტირებელი არ დარჩენილა. და ევროპის თვალის წინ მუდამ იდგა აჩრდილი სისხლიანი სომხეთისა.

თქმა არ უნდა, ოსმალებს ბევრი სომეხი ამოუწყვეტიათ, მაგრამ არა ნაკლები იყო მსხვერპლი სხვა ქრისტიან ერებისა წინა აზიაში, რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცის.

ლტოლვილი ასირიელები დღესაც სასტიკად იტანჯებიან, მაგრამ არავინ არის მათი ამკითხავი.

სომხები ისე მარჯვეთ იყვენ გამოქნილი აგიტაციაში და თავიანთ საქმის მოგვარებაში, რომ რუსეთის ბოლშევიკებისგანაც კი მიიღეს ავტონომია, რაზედაც ერთხელ მთელი პრესა ლაპარაკობდა და ერთმა სომეხმა პოეტმა ვაჰან ტერიანმა რამდენიმე მილიონიც მიიღო ბოლშევიკებისაგან სომხების ლტოლვილებისთვის.

რასაკვირველია, სომხებს აგიტაციის დროს ბევრი არა სინდისიერი ხერხიც უხმარიათ; ქართველებს ეხლაც გვახსოვს მათი დაბეზღების სიმწვავე: ვინეს დეპეშა, აჭარლების პროცესი, შემდეგ ა. ჯამალიანი და სულ ეხლახან ინგლისელების გამოყენება ამავე მიზნით.

ბევრჯერ სომხებს განზრახ დაუმახინჯებიათ ფაქტები და სტატისტიკურად რომ ვინმემ იანგარიშოს სომხების კორესპონდენტების მიერ მიწოდებული ცნობები ევროპის და რუსულ პრესაში ოსმალებისაგან დახოცილ სომხებზე, ისეთი დიდი ციფრი გამოვიდოდა, რომლის მეათედსაც ალბად შეადგენს თვითონ სომხეთი. მაგრამ მორალური კომპრომისები უთუოდ ღირდენ მიღწეულ მიზნის ფასად და ბრალს ტყუილად არ ჩაუვლია სომხებისთვის.

როგორც კი გამოცხადდა ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ ცალკე არარატის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, სომხების მოლვაწენი ძნელდ შეუდგნენ აგიტაციას და ისეთი სურათი დახატეს ევროპის წინ დაბნეული სომხეთისა, რომ სიმპატიების გამოცხადებას აღარ აქვს ბოლო. საქართველოში პრესის ინფორმაცია ძალიან ღარიბია, სომხებმა იციან კაბინეტებში საქმის გაკეთება და რომ ერთხელაც არის აშკარა გახდეს თუნდა სომხების დამოკიდებულება აქ მყოფ გერმანელებთან, როცა ისინი ძალაში იყვნენ, ბევრი ქართველი გაოცებული დარჩებოდა.

ყოველ შემთხვევაში ერთი ურყევი ფაქტია. სომხეთი მართლაც დამშეულია და ამაზე ყვირილს არავინ გაიკვირვებს. ჩვენ აღნიშნავთ მარტო შედეგებს. როგორც „ზაკავკასკოე სლოვო" სწერს სომხების ტანჯვას ბოლო ეღება. ინგლისის მისსია კავკასიაში ბრუნავს რაც შეიძლება მალე შეიძინოს და მოიტანოს სომხებით დასახლებულ კუთხეებში პური და სხვა საჭირო პროდუქტები, რომ გამოკვებოს ხალხი და აგრეთვე სათესი ხორბალი დაუნარჩინოს.

ბრიტანიის მთავარსარდალის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე გენერალი ბიჩი სწერს გენერალ ტომსონს, რომ ენზელში შეიძინოს და გაიტანოს სომხეთისთვის პური; განზრახულია ხორბალის გამოტანა ყარსის ოლქიდან და ნახიჩევანის მაზრიდან.

სპარსეთში და თვით ბათომში პურს და სხვა საჭირო საგნებს აგროვებენ სომხებისთვის; ამისთვის განზრახულია საქართველოს რკინის გზის საქმეც გააუმჯობესონ.

ამერიკიდან გამოემგზავრა კიდეც 200 ინსტრუქტორი ექიმები, სანიტარები და სხვ., რომ დაეხმარონ სომხებს და თან მოაქვთ ყველა საჭირო—იარაღი, მედიკამენტები, სამეურნეო მანქანები, განსაკუთრებით ყურადღებას იჩენს ამერიკული მისტერ ჯემსს არაროლი, რომ დროზე სომხეთში გაგზავნოს სამეურნეო იარაღი და სათესლე.

ყოველ ჰუმანიურ ადამიანს გაახარებს ასეთი ზრუნვა სომხებზე, მით უმეტეს ქართველებს.

მართალია მადლობა არ მიგვიღია არას დროს, მაგრამ ქართველები ყოველთვის თვითონ ეხმარებოდენ სომხებს და ბევრი სომეხი ლტოლვილი გამოუკვებია და ეხლაც კვებავს საქართველო.

ჩვენ სიამოვნებით და მადლობით ავღნიშნავთ ევროპიელთა ასეთ მზრუნველობას სომხებისათვისა, კიდევ უფრო ავღნიშნავთ სომხების უნარს, თავიანთ საქმის მოგვარებაში და არც თავმოყვარეობა დაგვიშლის ვსთქვათ, რომ ბევრი არის ამ საქმეში, რაც ჩვენ ქართველებში უნდა იწვევდეს მიბაძვას.

როცა სომხების ბანკირებს აუარებელი ფულები აქვთ, როგორც ჩვენ რესპუბლიკაში, ასე ერევანში, და უფრო მეტი კიდევ ევროპაში. საქართველო აუცილებელი ფინანსიურ კრიზისის მოლოდინშია.

საეჭვოა ჩვენმა რესპუბლიკამ საკუთარი პურით გამოკვებოს თავის მოქალაქენი, პურის შემოტანის იმედი არსაიდან არ არის, და ჩვენ საზღვრებს კი ათასობით აწყდება ყველა ჯურის ლტოლვილნი.

საუკეთესო პროვინცია ახალციხისა, ომის გამო აყრილია, ყველაფერი საწოვაგე გაფუჭებული და მშიერი ლტოლვილების ნიაღვარი აწვება დედა ქართლს.

ქართული ინტელიგენცია, რომელიც ჩამოშორდა მენშევიზმს, უფრო უარესს მდგომიარეობაშია, ვინემ ლტოლვილები, მაგრამ ჯერ კიდევ თავმოყვარეობა უშლის თავის დამშევაზე იყვიროს.

ამ დროს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ისე გრძნობს თავსს თითქო ბედნიერების და დაკმაყოფილების უმაღლეს მწვერვალზე იყოს ასული, მთავრობამ უკვე მოაწყო თავისი აურიცხველი კლიენტელა, დამფუძნებელი კრების არჩევნებიც ისე ჩაატარა, რომ ოპოზიციის შიში არ ექნება.

ფედერალისტები და ესერებიც ალბად იქვე ძიღებენ სამინისტრო პორთფელებს და გამარჯვებული კოალიცია შემდეგ თავმოუჭერელ დევივით იქნება გათამამებული.

მაგრამ საშინელი კრიზისი იწყება; სანამ ეს მშიერ ინტელიგენციას ეხება, ხმას არავინ ამოიღებს, მაგრამ მალე დადგება დრო, როცა ახალ კეისრებს თვით ხალხი მიადგება ნაჩვევი ძახილით: „პური და სანახაობა"!..

მენშევიკებმა რევოლუციის სანახაობა გაათავეს კიდეც და აღსასრული მაშინ იქნება, როცა პურიც არ ექნებათ დასარიგებლათ...

ერთი პროტესტის გამო

თბილისში, თითქმის ორი თვეა, რაც გამოდის მთიელთა მთავრობის ოფიციოზი „სევერნი კავკაზის" სათაურით.

არსებითად, რასაკვირველია, მიუღებელია რომ ჩვენს ტერიტორიაზედ გამოდიოდეს ისეთი ორგანო, რომელიც სხვა სახელმწიფოს ინტერესებს იცავს, მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეობა მთიელ-ხალხთა რესპუბლიკისა, და ურთიერთშორისი მეგობრული განწყობილება საქართველოსა და ამ სახელმწიფოსი, შესაძლებლად ხდიდა რომ დროებითი სტუმართმოყვარეობა გაგვეწია ამ გაზეთისათვის.

და უნდა ითქვას სიმართლე, რომ გაზეთის ტონი თავიდანვე დამაკმაყოფილებული იყო და ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევას ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანში ამ გაზეთში ადგილი ჰქონდა ერთს შენიშვნას, რომელთაც სართულებით არ შეეფერება ხსენებულ გაზეთს ერთხელ აღებულ ტონს:

„მოხალისეთა ლაშქრის მიერ საქართველოზე გამოლაშქრების დროს გაზეთის ერთ ერთ №-ში მოთავსებული იყო წერილი გენ. დენიკინის შესახებ, რომელშიც „მოხალისეთა ჯარის" სამართლიან დახასიათებასთან ერთად, გამოთქმული იყო აღშფოთება ამ ჯარის მოქმედების შესახებ საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილ ორგანოს სხვანაირი მოქმედება წარმოსადგენიც არ არის;

მაგრამ, როგორი უნდა იყოს გაოცება, როდესაც გაზეთის უკანასკნელ №-ში, ჩვენ ვკითხულობთ პროტესტს ამ წერილის გამო, თბილისში მყოფ რუს ინვალიდთა კავშირისაგან.

ინვალიდები აუღელვებია გენ. დენიკინის და მისი ჯარის ცუდს დახასიათებას.

ჩვენ გვგონია, რომ გენ. დენიკინის მოსარჩლე რუსებს, რომელნიც ასე უმადურათ უდიან საქართველოს, სტუმართმოყვარეობას და მოვლა-პატრონობას, ჯეროვან ყურადღებას ძიაქცევს მთავრობა მაგრამ არა ნაკლები საყვედურის ღირსია, ის გაზეთი, რომელიც ესე ცუდად სარგებლობს ჩვენი თავაზიანობით;

საყვედური უნდა გაორკეცდეს იმით, რომ ეს პროტესტი დაბეჭდილია მთიელთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენელის წინადადებით.

პრესა

მენშევიკების პოლიტიკა.

„ერთობა" მორიგ მეთაურში არკვევს მომავალ დამფუძნებელ კრების მუშაობას და სოციალდემოკრატების პოლიტიკას. წერილი „ერთობის"-თვის უჩვეულო აწეულ ტონით არის დაწერილი და დაქადებასაც არ იკლებს. მეთაური ეხება იმ ბრალდებას, რომელსაც მემარცხენენი უყენებენ მართველ პარტიას და შინაგან სამინისტროს. გაზეთი აღნიშნავს, რომ დემოკრატიას უხდება მტერთან ბრძოლა და ამიტომ იარაღს გამოყენებაც. შემდეგ ანალოგია გაჰყავს საფრანგეთის რევოლუციასთან, და კონვენტთან, როცა იაკობინელებმა ტერორი გაამეფეს დემოკრატიის დასაცავად.

მაგრამ მენშევიკებს თვითონ სცხვენიათ ასეთი ანალოგიის, და თავის მშვიდობის მოყვარეობას იმით ამართლებენ, რომ ჩვენი რეაქცია არ არის ძლიერი. რეაქცია, რასაკვირველია, მენშევიკებს თავისებურათ ესმით, ის ხან ბორჩალოდან მოდიოდა, ხან სოჭიდან, მაგრამ მენშევიკების მახვილი არასდროს არ ყოფილა მაინც და მაინც სასტიკი და რეაქცია ყოველ შემთხვევაში ამ მახვილს არ მოუშორებია. მაგრამ ქართულ ზღაპრის ერთ კარგათ ცნობილ გმირივით მაინც გა-

უკანასკნელი ცნობები

ბავარიაში მემარჯვენე რადიკალების მოავრობა შესდგა

ინგლისის მთავრობამ გერმანიასა და ფინეთს შორის ვაჭრობა აკრძალა.

გაფიცვები და კომუნისტური მოძრაობა საქსონიასაც მოედო.

ჩეხო-სლოვაკების პრესბიუროს ცნობით იტალიის მეფე ვიქტორ-ემმანუელი დაჭხვრეტეს.

ნიუ-იორკში ვილსონის წინააღმდეგ შეთქმულობა მზადაა.

ნაგრძობენ დაქადგას, არავინ იცის ვის წინააღმდეგ:

„დამფუძნებელი კრება მოდის ხალხის ნების გამოსახატველათ. ვინც მას წინ გადაუდგება—ვინც მას ხელის შემშლელათ მოევლინება, იგი თვით გახდება მსხვერპლი თავის უგუნური წინააღმდეგობის.

ხალხი ლმობიერია მათდამი, ვინც მის ნებას ემორჩილება და ულმობელია, როცა მას წინ ეღობებიან.

დამფუძნებელი კრება მოდის—როგორც სუვერენი, ბატონი და მოითხოვს მის დადგენილებათა ცხოველ ასრულებას. იგი მოდის მშვიდობიანობის მწვანე რტოებით შემკული, მაგრამ მტერთათვის იგი გაფრთრებულ და შეუპოვარ მებრძოლათ იქცევა.

იგი არ დაინდობს არავის, ვინც მის დამფუძნებელ მუშაობას წინ გადაუდგება. იგი ზავია, მარა იმავე დროს ბრძოლის ემბლემაა და თან ემბლემა დემოკრატიის გამარჯვებისა და ჩვენი პოლიტიკაც ამ ემბლემის განხორციელება იქნება დამფუძნებელ კრებაში.

რას იტყვის ახალს მენშევიკების დამფუძნებელი კრება? ან ვის დაადანაშაულებს?..

ქრონიკა

ხვალის ნომერში დაიბეჭდება ლექსები: შალვა ამირაჯიბის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტabიძის, ლელი ჯაფარიძის, გ. ლეონიძის და ხანდრო ჩაჩიკაშვილის.

ერობა.

საერობო დაწესებულებათა ცენტრალური გამგეობა. საერობო ყრილობა დამთავრდა. ყრილობამ აირჩია ცენტრალური გამგეობა, რომელშიც შედიან. ონიაშვილი, ცაბაძე, სალაყაია, სოლორაშვილი და სტურუა და სხ.

მინერალური წყლები.

მინერალურ აბანოების შეფასება. საგანგებო კომისიამ, რომელთაც უნდა შეეფასებინათ თბილისის მინერალური აბანოები, დაასრულა მუშაობა და მთავრობას ამ დღეში მოხსენებას წარუდგენს.

წყალტუბოს აბანოს გადაცემა. ამ დღეებში მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ მინერალურ წყალთა კომისიის თავმჯ. გ. ჩურსინი მიეგზავრება ქუთაისში წყალტუბოს აბანოს ქუთაისის სამაზრო ეროებისათვის გადასაცემად.

იუსტიციის სამინისტროში.

იუსტიციის სამინისტროს 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვა. იუსტიციის მინისტრმა მთავრობას უკვე წარუდგინა მისდამი რწმუნებულ სამინისტროს 1919 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდანაც სჩანს, რომ 1919 წლის ბოლომდე იუსტიციის სამინისტროს და მის ხელქვეით დაწესებულებათა ხარჯები დაახლოებით 14.206,860 მან. ხოლო შემოსავალი კი 2000000 მან.

იუსტიციის სამინისტროს ახალი იურისტ-კონსულტი. იუსტიციის სამინისტროს იურისტ-კონსულტად ნაფიცი ვექილი დავით ბ. კვირკელია დაინიშნა.

სომხეთის იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი. ხუთშაბათს 27 თებერვალს იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, სლუმარს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა კანცელარიის დირექტორთან ზოგიერთ ტეხნიკურ საკითხებზე.

იურიდიულ-საადმინისტრაციო კომისია. ქალაქის საბჭოსთან არსებულ იურიდიულ საადმინისტრაციო კომისიის პირველი სხდომა, რომელიც 27 თებერვალისთვის იყო დანიშნული, წევრთა დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. გამოცხადდენ მხოლოდ ბბ. გ. ჟორდანია და ს. ჯაფარიძე.

ბრალდებულთა გამართლება. თბილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე ე. ი. სერებრიაკოვისა, ოქრომჭედლიშვილისა, ი. ბ. ოგანოვ და მილოვისა რომელთაც ბრალს დებდენ 1681 სტატ. ძალითა და თანახმად პროკურორის წერილობითი განცხადებისა. დაადგინეს სისხლის სამართლის 523 სტატიის ძალით, მოსპონ საქმის მსვლელობა.

საგენერ.-გუბერნატორში.

სავალდებულო დადგენილება. თბილისისა და მის მიდამოების ღენერალ-გუბერნატორისა. 1) ნება დართულია ქალაქში სიარული და ყოველგვარი მოძრაობა ღამით დროს განუსაზღვრელად, 2) ყველა დროს გასატერებული, სავაჭრო და სხ. დაწესებულებანი უნდა დაიკეტონ ღამის სრულ 12 საათზე, 3) დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ამ დადგენილების დამრღვეველნი წლინახევრის ციხითა ან და 10.000 მან. ჯარიმით დაისჯებიან.

სხვა და სხ. ამბები.

საგარეო ვალიუტა. ფულის ბაზარზე ამერიკის დოლარი ფასობს 14 მან., გირვანქა სტერლინგის, ბანკნოტებით—88 მ, ოსმალეთის ოქროს ლირა—126-123 მან. საბერძნეთის დრახმა—2 მ. 50 კ. რუმინიის ლეი—85 კ., საფრანგეთის ფრანკი 3 მ. შვეიცარიის ფრანკი 3 მ. 40 კ., ნიკოკრედიტი 100 მან. 190 მან 500 მან. 900 მ.

უფასოდ დეპეშების გაგზავნა. თბილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის უფროს ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბს ნება აქვს გაგზავნოს დეპეშები ნისიად და არა უფასოდ. უფასოდ სარგებლობს მხოლოდ საფოსტო-სატელეგრაფო უწყება.

მატარელის გადავარდნა. დერკვეთის სადგურის უფროსი ჯაოშვილი ატყობინებს გზათა მინისტრს: „27 თებერვალს სადგურიდან მე-43 ვერსზე, ლიანდაგის უვარგისობის გამო, მოწაფეების მატარებელი № 309, გადაცდა ლიანდაგს. მსხვერპლი არ არის. გზა გაფუჭებულია“.

„თბილისის ლისტოკის“ ბედი. „თბილისის ლისტოკის“ გამოცემა გადავიდა ახალ ამხანაგობის ხელში. ამხანაგობას ს. ხუნდაძე თავმჯდომარეობს.

გაძარცვის განზრახვა. 28 თებერვალს დილის 8 საათზე, 5 შეიარაღებულ პირმა მოინდომა სასტუმრო „ინტერნაციონალ“-ში მცხოვრები ბაქოელი ვაჭარი ტაგიევი გაეძარცვათ. უკანასკნელის ყვირილზე მილიციონერებმა დაედევნენ ბოროტგამზრახველთ, დაიჭირეს 2 ბოროტგამზრახველი და 1 მოკლეს; ერთმაც საპიორის გაუვალ ქუჩაში შეიჭრა და რევოლვერით თავი მოიკლა. მეხუთე გაიქცა.

სალამო. მე-5 ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში მარტის 1-ს გაიმართება თბილისის მე-5 ვაჟთა და მე-6 ქალთა გიმნაზიის მოწაფეთა მიერ დიდი საღამო გაიმართება.

ოთხშაბათს 5 მარტს საღამოს 7 ნახ. საათზე მიხეილის სამკურნალოში მიხდება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა მორიგი კრება. წესრიგი: 1. სამეცნიერო მოხსენება ექიმ ნიკოლოზ ჯავახიშვილისა. 2. ფერშალთა საკითხის განხილვა ოფიციალური შეკითხვის გამო.

შეწირულობა. საბურთალოს საზოგადოება „ჯეჯილმა“ შესწირა ომის სასარგებლოდ 2000 თუმანი, პავლე პოზ ოღლიმ—200 მანეთი. ფული შეტანილია სამეურნეო ბანკში.

სამხატვრო ქრონიკა.

საღამო „იმედში“. დღეს სასადილო „იმედში“ გაიმართება მორიგი ინტიმიური საღამო კარნავალი, რომელშიაც მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო არტისტიული და ლიტერატურული ძალები.

პროვინციის ცხოვრება

ქუთაისი

— მაზრაში ყვავილი მძვინვარებს. ერობამ ჭოგნარის და ქვიტირის საზოგადოებაში ექიმთა რაზმი გაგზავნა.

— ქუთაისიდან ლეჩხუმისკენ მიმავალ ფოსტას თავს დაესხნენ ბოროტგამზრახველები და ფული გაიტაცეს. აგაზაკთა აღმოსაჩენად ზომებია მიღებული.

მუნიციპალ. ცხოვრება

გაფიცვის მოლოდინი.

გადამდებ სენით ავათმყოფების საქალაქო ქსენონების მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა, რადგანაც ქალაქის საბჭომ არ დააკმაყოფილა ყოველიეე მათი მოთხოვნილება, პარასკევს 28 თებერვლიდან ყველამ სამსახურს თავი დაანებოს თუ ეს გაფიცვა აასრულეს და თუ ქალაქის გამგეობა ვერ ჰპოებს საშუალებას მოსამსახურეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, მაშინ ათას ასსზე მეტი მარტო სახადით ავათმყოფი (სხვა გადასადებ ავათმყოფების გარდა) მოუვლელნი და უწამლოთ დარჩებიან საავათმყოფოებში.

—

ქალაქის გამგეობის სხვა და სხვა განყოფილების მოსამსახურეებმა მიმართეს თავიანთ კავშირის აღმასრულებელ კომიტეტში თხოვნით დაუყოვნებლივ დანიშნოს მან დელეგატების საერთო კრება გაფიცვის გამოცხადების საკითხის გადასაწყვეტათ, რადგანაც ქალაქის გამგეობა აქამდე არ აკმაყოფილებს მათ ჯამაგირის მიცემით, რომელიც მათ ეკუთვნით იანვრის და თებერვლის თვეებისა. ამ ორთვის ჯამაგირის ყველა დამატებითის მაგივრათ ქალაქის გამგეობა ურიგებს მარტო 200 მან. თითო მოსამსახურეს, რომელიც ეკუთვნით მათ იანვრის ანგარიშში პურის სიძვირით გამოწვეულ ზედ დამატებითი შემწეობას. პარასკევს შესდგება ქალაქის გამგეობის და აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული სხდომა ამ საკითხის გინსახილველად და კვირას კი დანიშნულია მოსამსახურეთა დელეგატების კრება.

სატრაქტირო გადასახადები

ქალაქის გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადების განხილვის შესახებ 1919 წ. გადაეცა საბჭოს საფინანსო კომისიას დასკვნის წარმოსადგენათ. ამ წელს ეს გადასახადები ქალაქის გამგეობამ გაადიდა 2,271,000 მანეთამდე. შარშან ეს გადასახადები გადიდებულ იყო 564,434 მანეთამდე 200.000 მანეთიდან.

დამატებითი დახმარება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა თებერვალშიაც მიეცეს გამგეობის მოსამსახურეებს პურის სიძვირით გამოწვეული ზედ დამატებითი დახმარება 200 მან. თითოეულს.

ტრამვაის შემოსავალი.

ტრამვაის გასულ წლის განმავლობაში სულ 11,155,000 მან. შემოსავალი ჰქონია. ამავე დროს 10,600,000 მან. ხარჯი გაუწევია. მაშასადამე სუფთა მოგება დარჩენია 555,000 მან. ამჟამათ კი ტრამვაი ქალაქს ზარალს აძლევს, რადგანაც დღიური შემოსავლით ვერ დაუხურავს საჭირო ხარჯებს, რომელიც თანდათან მატულობს.

ადერბეიჯანში

სესხის პროექტი

საფინანსო სამინისტროს წარუდგენია ადგილობრივ ბანკების თვითმართველობისთვის სესხის პროექტი შემდეგ პირობით. სესხი იქნება მომგებიანთანხის 500 მილიონ მანეთისა. გამოიცემა ხუთი სერია 100 ათასიან ბილეთებისა. ბილეთის ფასი 1000 მან. ამიერ-კავკასიის ფულით.

დადგენილია შემდეგი მოგება: 1) 200 ათას მანეთიანის, 2) 75 ათას მანეთიანის, 3) 40 ათას მანეთიანის შემდეგ 25 ათასის, 10 ათასისა და სხვ. სულ მომგებიანი თანხა 373 იქნება 700 ათას მანეთისა. ყოველ ბილეთს აქვს ოთხი კუპონი, რომლის მოგებაც შეიძლება ოთხჯერ.

სესხი ყოველ გარანტიას იძლევა ადერბეიჯანის რესპუბლიკის ქონების სახაზინო ნავთის მიწების სახით და სხვ.

პროექტი ბანკების მმართველობის მიერ არ იქმნა ცნობილი, როგორც ფინანსიურ ისე მორალური მხრის მიხედვით.

გენერალ ბიჩერახოვი

ბაქოდან მოსულ ცნობით ამ მოკლე ხანში ბიჩერახოვი წასულა ბათუმში. მოხალისეთა ჯარის გენერალ დენიკინის ბრძანებისამებ ბიჩერახოვი ისევ უკან დაბრუნდება.

ინგლისის ჯარის წასვლა

ბაქოში გავრცელებულ ხმების გამო, ვითომ ინგლისის ჯარი ბრუნდებოდეს უკანვე „ნაშევრემიას“ გადმოცემით, სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეეფერება. ინგლისის ჯარი კი არ მიდის, არამედ იცვლება ის ჯარების ნაწილები რომელნიც ომობდნენ მესოპოტამიის ასპარეზზე.

ნავთი

„ადერბეიჯანის“ სიტყვით ადგილობრივ დიდი ნავთის მრეწველი რილოვი სასურსათო სამინისტროს ჰპირდება 600 ათას ფუთს ხორბლს საქონლის გაცვლა-გამოცვლის პირობებით. რადგან ხორბლის ეკვივალენტის მიხედვით გამორთმეული ნავთი რილოვს უკრაინაში გასაგზავნად უნდა.

სპეკულიანტები

ადგილობრივ ბანკებმა შეჰნიშნეს, რომ აქ გახშირდა ფულის სპეკულიაცია. სპეკულიანტები ამიერ კავკასიის ბონებს ნახევარ ფასად იძენენ და ბანკებში შემოაქვთ სათადარიგო თანხის სახით. ასეთი ოპერაციები ტეხნიკურ მხრით მეტად ადვილია. ბანკები ყოველ ღონისძიებას ღებულობენ ამ სპეკულიაციას ებრძოლონ.

III. სარაჯიშვილის ბენეფისი

27 თებერვალს სახელმწიფო თეატრში ვანო სარაჯიშვილის ბენეფისი შესდგა.

წარმოადგინეს ბიზეს „მარგალიტის მაძიებელნი“ და დ. არაყიშვილის ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ბენეფიციანტი ამ საღამოს მშვენივრად მღეროდა. ნადირას პარტია („მარგალიტის მაძიებელნი“) საუკეთესო როლია მომღერლის რეპერტუარში. ნადირას ტესიტურა ძალიან მაღალი არ არი და მომღერალს, რომელსაც მაღალი რეგისტრების აღება ეძნელება, ადვილია შესრულების მხრით. ბ-ნი სარაჯიშვილის „piano“ საუცხოოა. მშვენიერი ფალცეტებით მოხიბლა საზოგადოება მომღერალმა. ლამაზ ფრაზიობით და ნიუანსებით იყო გადმოცემული ნადირას არიოზები. სარაჯიშვილს თავისუფალი სუნთქვა აქვს, რის გამო მისი ყოველი სიტყვა ყოველთვის ისმის ხოლმე.

ერთ დროს ბ-ნი სარაჯიშვილი რუსეთის საოპერო სცენაზე, სობინოვის შემდეგ, საუკეთესო „ბელ-კანტოთ“ ითვლებოდა. ამ ჟამად მომღერალს ხმის სიძლიერე დაკარგული აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ხმის ტემბრი, სითათუთე ისევ საამო სმენის დამატებობელია.

დიდი ესთეტიური სიამოვნება მივიღეთ დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მოსმენით.

ეს ოპერა კი არა—სიმფონიაა. ბ-ნ არაყიშვილის ორკესტროვკა მართლაც რომ შესანიშნავია. ოპერის უვერტიუ-

მსოფლიო ვაჭრობა

პური

დღემდე მსოფლიოს ყურადღება მიჯაქვული იყო ომის და რევოლუციების მსვლელობაზე.

უყურადღებოდ რჩებოდა დიდი მოვლენა მსოფლიო ვაჭრობაში; მანვე ომის მსვლელობაზედაც გავლენა იქონია. და შეიძლებაც დიდ გავლენას მოახდენს კაცობრიობის კულტურაზე. მხოლოდ სპეციალისტ ეკონომისტის ყურადღება თუ იყო იმ თავიდან მიქცეული იმ გარემოებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკაში 15 აგვისტოს 1914 წ., როდესაც პირველად ამუშავდა პანამის არხი. უკანასკნელს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ვაჭრობის ცენტრების შეცვლაზე რომ ჩვენ საჭიროდ ვიგვაჩნია წინასწარ გავითვალისწინოთ იგი ჩვენ ეკონომიური ინტერესის თვალსაზრისით. ევროპის ბაზრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა შედარებითი სიიაფით, რაც აიხსნება მით, რომ იქ მიწაც იაფია. მთელი მილიონები ქსენებისა ჯერ კიდევ დაუმუშავებელია და სრულიად უმნიშვნელო, ხელმისაწდომ პირობებში გაიცემა მსურველ კოლონისტებზე. განსაკუთრებით დასავლეთ ამერიკაში დიდ ოკეანის სანაპიროებისაკენ. მაგრამ შეერთებულ შტატების დასავლეთ ნაწილში გამოახგარიშებულია სულ 317,8 მილიონი აკრა თავისუფალ, ჯერ კიდევ მოუხნავ, მაგრამ ფრიად ნოყიერ მიწებისა. მიიღეთ მხედველობაში, რომ აკრა უდრის დაახლოვებით ჩვენს ქცევას და რუსულ დესიატინაში შედის $2^2/_3$ აკრა. მთელს შეერთებულ შტატების ტერიტორიაზე კი ითვლება 327 მილიონი აკრა სახნავ სათეს მიწებისა, აქედან ჯერ 1909 წელს მხოლოდ 47 მილიონი აკრა იყო დამუშავებული ე. ი. მხოლოდ ერთი მეშვიდედი სახნავ მიწებისა. არგენტინაში დამუშავებულ მიწის რაოდენობა უდრიდა 1913 წელს შვიდ მილიონ ჰექტარს. (ჰექტარი კი სულ ცოტათი ნაკლებია დესეტინაზე). მაშინ როდესაც არგენტინას აქვს მთელი 85 მილიონი თავისუფალი სახნავ-სათესი მიწისა. მაგრამ უდიდესი ძმძავალი აქვს ხორბლეულობის ვაჭრობაში კანადას, სადაც სახნავ-სათეს მიწების რაოდენობა უდრის 440 მილიონ აკრას, საიდანაც ჯერ-ჯერობით 1912 წ. მხოლოდ 29 მილიონი აკრაა მოხნულ-მოთესილი.

ჰავის მხრივ კი კანადა საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ხორბლეულობის კულტურისათვის. აქამომდე ამერიკაში მხოლოდ აღმოსავლეთ სანაპიროებს დასახლდნენ კოლონისტები და მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წლებში დაიწყო დასავლეთ ნაწილების კოლონიზაცია. ამ მხრივ კანადას დასავლეთი პროვინციები სულ ახალი დასახლებულია და უუდიდეს მარაგს წარმოადგენს ნოყიერ მიწებისას, რის დამამტკიცებელია შემდეგი ციფრები:

	სახნავ-სათესი არე მილიონი	აქედან დამუშავებული იყო 1911 წ. აკრებში
მანიტობაში	41,2	12,4
სასკაჩევანაში	155,8	28,6
ალბერტაში	161,9	17,7
ბრიტან. კოლუმბიაში	226,2	2,5.

აი, ასეთი თვალუწვდენელი სახნავი მიწებია ხსენებულ პროვინციებში, რომელიც უცდის ხელსაყრელ დროს და მომუშავე ძალას რომ თავისი ნაწარმოებით წარღვნა მოახდინოს მთელი ევროპის ბაზრებისა.

ჯერ კიდევ პანამის არხის გახსნამდე ამერიკა წარმოადგენდა სასტიკ მეტოქეს ხორბლეულობისას მსოფლიო ვაჭრობაში. მთელი დედა-მიწის სახელმწიფოთა როლი რომ შეეადაროთ ხორბლეულობისა და განსაკუთრებით ხორბალი, ვაჭრობაში მივიღეთ შემდეგ სურათს:

ოცდა-ათი წლის განმავლობაში შეერთებული შტატებიდან გაჰქონდათ ხორბალი მილიონ ბუშელებით.

1880/882	წლებში	163 მილ. ბუშელი
1883/885	„	131 „ „
1886/888	„	123 „ „
1892/894	„	194 „ „
1898/1900	„	208 „ „
1901/03	„	218 „ „

უკანასკნელ წლებში შეერთებული შტატები აძლევდა მსოფლიო ვაჭრობას 40 პროცენტ. მხოლოდ ხორბალით, სხვა ხორბლეულობა რომ არ ვიანგარიშოთ.

ექსპორტი ხორბალი არგენტინიდან მსოფლიო ბაზარზე თანდათან იზრდება:

ექსპორტი

	ხორბალი კვარტერში	ხორბალი, ფქვილი 280 გირვ. ტომრებში
წლები		
1876 80	30.000	10.000
1885—89	512.000	44.000
1895—99	3.680.00	416.000
1905—09	11.900.000	900.000

1900 და 1909 ათეულ წლებში არგენტინაში ხორბლის მოყვანა, მოხმარება და ექსპორტი გაიზარდა შემდეგნაირათ:

მოხმარება გაიზარდა	57 პრ.
მოყვანა „	149 პრ.
ფქვილის ექსპორტი	156 „
ხორბლის მარცვალი	157 „

ე. ი. ექსპორტი უკანასკნელ წლებში უდრის უკვე წარმოების $^2/_3$.

საუკეთესო ბაზარს ხორბლეულობისათვის წარმოადგენს გერმანია და ინგლისი. აქ რომ ერთმანეთს დავუპირისპიროთ არგენტინა რუსეთს მივიღებთ შემდეგ სურათს:

გერმანიაში შეზიდულ ხორბლის რაოდენობა ნაწილდებოდა პროცენტები:

წლები	რუსეთიდან	არგენტინიდან
1886/90	52,1 პრ.	0,3 პრ.
1896/900	42,9 პრ.	14,2 „
1906/910	38,0 პრ.	20,9 „
1911/13	30,0 პრ.	27,9 „

მაშასადამე გერმანიაში რუსეთის ხორბალს ბაზარი თანდათან ეკარგებოდა და არგენტინა კი მას იუფლებდა. კიდევ უფრო მეტყველია ინგლისის ბაზარი.

ინგლისში შეტანილი ხორბალი ნაწილდებოდა პროცენტებში შემდეგნაირათ:

	რუსეთიდან			არგენტინიდან		
წლები	მილიონი ინგლისური ცენტნერი	% იმპორტისა	მილიონი ინგლისური ცენტნერი	%		
1882/91	12,5	15,8%	0,9	1,1%		
1892/901	10,3	10,6 „	8,4	8,6 „		
1907/06	17,9	15,7 „	16,8	14,7 „		
1901/11	16,3	14,3 „	20,8	18,2 „		
1912	9,0	7,3	საიმედო ციფრები არ არის			
1913	5,0	4,1				

ეგ ციფრები ცხადად გვაჩვენებს, თუ როგორ დაჰკარგა რუსეთმა საუცხოვო ბაზარი ინგლის-ამერიკის-არგენტინის სასარგებლოდ.

ასეთივე დიდ ზრდას გვაუწყებს კანადის ხორბლის ექსპორტი.

	ხორბალი გაიტანეს მილიონი ბუშენი
წლები	
1871 75	4,0
1901—05	20,1
1914	120,4

ასეთი მძლავრი განვითარება კანადის ექსპორტისა ვერ დარჩებოდა უმნიშვნელოდ რუსეთისათვის, რომელიც მან გადევნა მსოფლიო ბაზრიდან.

	ხორბ. ექსპორტი მილიონ ფუთობ.	% რამდენ ზედ. ექსპ.	% ექსპ.
წლები	რუსეთ.	კანადიდ.	რუს.
1881/90	147	7	5 %
1891,900	173	21	12 „
1901/10	235	66	28 „
1911/12	210	194	88 „
1913	214	252	118 „

ამგვარად რუსეთის ხორმალი იდევნებოდა ბაზრიდან მძლავრ მეტოქეების მიერ.

ეხლა განვიხილოთ მთელს ედა მიწაზე რომელი სახელმწიფო რამდენ სივრცეს ხნავს და სთესავს მისი ტერიტორიასთან შედარებით პროცენტებში:

იტალია .	16,5%	მთელი მისი სივრცისას
რუმინია .	14,5	„
საფრანგეთი	12,3	„
უნგრეთი .	11,2	„
ესპანია .	7,3	„
ბელგეთი .	5,1	„
ბრიტან. ინდოეთი	4,9	„
ევროპ. რუსეთი	3,9	„
ავსტრია .	3,7	„
გერმანია .	3,5	(×10% შვრია.
დიდი ბრიტანეთი	3,1	„
შეერთებ. შტატები	2,4	„
არგენტინა .	1,9	„
კანადა .	0,4	„

მაშასადამე, ამერიკას შეუძლია �დევ დიდი ხანი ამრავლოს მოხნული სივრცე, ვიდრე დაამუშავებდეს რუსეთისა (3,9 პროცენ.) ჰუნგრეთისა (11,2) და რუმინიის (14,5 პროც.) ოდენ სივრცეს, რასაკვირველია შედარებით ამერიკელ ეკონომისტების აზრით მხოლოთ შეერთებულ შტატებს შეუძლია აიყვანოს მოხნულ სივრცის რაოდენობა 80 მილიონ აკრამდე ე. ი. გაზარდოს იგი 70 პროცენტით. ეს ხომ სავსებით მოსპობს ბაზარზე ევროპიულ ქვეყნების ქიშპობას (მით უმეტეს რუსეთისას) ხორბლეულობით ვაჭრობაში.

ამერიკის ეხლა თავისუფალ მიწების მოხნა-მოთესვა ფრიად გაუადვილდება რადგან პანამის არხი გზას უხსნის დასავლეთ სანაპიროებს. დღემდე დიდ ოკეანეს სანაპიროებიდან, ვანკუვერიდან, სიეტლიდან, ბორტლენდიდან გამოსული გემები ევროპაში ან სუეცის არხით უნდა წასულიყვნენ დიდისა და ინდოეთის ოკეანეზე გავლით ან უნდა შემოვლოთ აფრიკა და სამხრეთი ამერიკა, სახიფათო მაგელანის სრუტეში გავლით. მაგ. სანფრანციასკოსა და ლივერპულს შეა მაგელანის, სრუტეთი საჭირო იყო 13,500 საზღვაო მილის გავლა გემისათვის პანამის არხით კი მხოლოდ 7,840 საზღ. მილი. სანფრანციასკოსა და ჰამბურგის შორის მაგელანის სრუტეში საჭირო იყო 13,880 საზღვ. მილის გავლა. პანამის არხით კი მხოლოთ 8350 მილი. გზა შემცირდა მაშასადამე პირველ შემთხვევაში მთელი 5,660 მილით და მეორეში 5530 ასეთივეა შედეგი სხვა ნავთ-საყუდართა დაპირისპირებისა ამერიკა-ევროპის შორის. პანამის არხი მაშასადამე გზას ამოკლებს მთელი 40 პროც-ით. პანამის არხის საშუალებით გემები იქლიან ამერიკა-ევროპის ნავთ-საყუდართა შორის მთელი 18,2, 25,7 ღღით ნაკლებს, ვიდრე უწინ. გზის შემცირების გარდა პანამის არხს აქვს ის მნიშვნელობაც, რომ გემებს აღარ დასჭირდებათ რამოდენიმე თვეობით გაჩერება ტროპიკებსა და ეკვატორზე. რაც იწვევდა ხორბლის გაფუჭებას, რადგან გემები იალქნებიანი იყო და სიცხეებში ჩერდებოდა ხანგრძლივად, რომელნიც შტილების გამო მხოლოთ 5 და 6 თვის შემდეგ თუ მოაღწევდენ ევროპის ბაზრებს, რაც ვაჭრობას ძალზე აფერხებდა. პანამის არხის საშუალებით ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დიდ შეხმატკბილების ჰარმონიზაციას ჰქმნის.

აქ არის სისუმბუქე შესაფერისი ტონალიზაცია ყველა ინსტრუმენტების, ჰაეროვანი დაჭიმა აღმოსავლეთის ჰანგების. ოპერის ზოგიერთ ადგილებს ჰირდაპირ დიდი შემოქმედების ნიჭი ატყვია. მაგალითად მგოსანი-ბაიანოს არიას. ლამაზია მთლად მთელი უკანასკნელი სცენა. ლირიული, ნაზ გრძნობა ამშლელი სცენები ლამაზ დრამატიზმს ჰქმნიან. სარაჯიშვილმა კარგად შეასრულა შოთა რუსთაველის პარტიაც.

ბ-ნმა პოლიაევმა (აბდულ-არაბი) დიდად გვასიამოვნა. მომღერალი ამ პარტიაში მიუხედავად მისი სიპატარავის, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. უკანასკნელი სცენა შემოკლებული იყო. და რატომ შეამოკლეს გულჩინას მშვენიერი დუეტი აბდულ-არაბთან, გვიკვირს.

საზოგადოება აღტაცებით შეხვდა სარაჯიშვილს და დაუსრულებელი ოვაციები გაუმართა.

ვ. გარრიკი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

გერმანული პრესა

დიუსელდორფში

დიუსელდორფში უკიდურესი ელემენტები არ სცნობენ მათ ბელადების მიერ მთავრობასთან ხელშეკრულებას, რომლის ძალით გაფიცვა უნდა შეწყვეტილიყო და იარაღი ჩაებარებინათ. გადააყენეს და დაუპატიმრეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა საბჭოები. მუშები ძლიერ აღშფოთებულნი არიან, რომ უკიდურეს რადიკალთა უმცირესობა მათ აიძულებს გაფიცვა გააგრძელონ.

ვაჭრობის აკრძალვა ფინეთ-გერმანიის შორის.

ინგლისის მთავრობამ სრულიად აკრძალა ვაჭრობა გერმანიასა და ფინეთის შორის.

ჩეხო-სლოვაკები დუნაიზე

ჰუნგრეთის გაზეთი ნეინცუგი იუწყება: სგმხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ყოველი საშუალება იხმარონ, რათა დუნაიზე კომორნთან ჩეხო-სლოვაკების დიდი ძალები არ გადაუშვან. ორივე მხარემ დუნაის ხიდზე მავთულის ხლართები გააბა. ჩეხებმა კომორნთან დიდძალ ჯარს და არტილერიას მოუყარეს თავი.

კომუნისტური მოძრაობა საქსონიაში.

გაფიცვები და კომუნისტები მოძრაობა საქსონიასაც მოედო. პარნეში ძალა უფლება სპარტაკელებმა ჩაიგდეს ხელში. მაგრამ დროებით. წესრიგი სულ მოკლე ხანში აღადგინეს. გაზეთები არ გაჩერებულა. ლეიპციგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ამზადებს დიდ გაფიცვას. მაღაროს მუშათა შორის გაფიცვა გაძლიერდა. რასაც უკვე მოჰყვა მოძრაობის შემცირება.

დრეზდენში

დრეზდენში დამოუკიდებელი ს.-დ. და კომუნისტები თებერვლის 25 დიდ დემონსტრაციების მოწყობას აპირებენ. ცენტრალურ გერმანიაში გაფიცვები ძლიერდება. ლეიპციგის საბჭომ ხმის დიდი უმეტესობით გადაწყვიტა თებერვლის 27 საყოველთაო გაფიცვა დაიწყოს. რეინის გზებზე მოძრაობა სრულიად შეწყდა. საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა აგრეთვე ბარნის ქვანახშირის რაიონში და შეუზღვიცაში, ლეინიგის სამხრეთით. შესწყდა მუშაობა დიდ საქიმიო სამრეწველო დაწესებულებაში. აღარ მუშაობს ელექტ. სადგურები. მას შემდეგ რაც ტუნინგიაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, მას მიემატა სხვა 23 ქალაქი. ამავე დროს დაიწყო ბურჟუაზიული მოძრაობა მაგალითათ ქალაქის საბჭომ მოწოდება გამოუშვა ყველა ვაჭრების, ხელოსნების, მოხელეების, მეაფთიაქეების, იურისტებისა და მასწავლებლებისადმი, ხუთშაბათს მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო გაფიცვებში. ასეთივე ცნობები მოდის ზეიტციდან ვისენფელტდან და ნომბურგიდან. ვეიმარის და ბერლინის შუა რკინის გზის პირდაპირი მიმოსვლა შესწყდა. ბერლინისა და ლეიპციგის შუა მატარებლები მხოლოდ დრეზდენის და იენის გზით დადის.

ცენტრალური მთავრობა ზომებს იღებს, რომ საყოველთაო გაფიცვა არ მოხდეს. ზომები რამოდენიმედ ნაყოფიერი გამოდგა. მთავრობა სცდილობს აგრეთვე დაუყოვნებლივ გააღაროს ცხოვრებაში ნაციონალიზაცია. მუშების უმეტესი ნაწილი საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგია. ბურჟუაზია სცდილობს კონტრ-რევოლ. გაფიცვა მშვიდობიანათ ჩაატაროს.

ბავარიაში.

ბავარიაში, სადაც მემარცხენე რადიკალების მთავრობა შესდგა, დამოუკიდებელნი ოპოზიც. ჩაუდგნენ სპარტაკელებსა და საბჭოთა მართველობას და მეუმრავლესე სოციალისტებთან შეერთებას სცდილობენ.

შრომისადმი გულცივობა გერმანიაში.

გერმანიაში თავი იჩინა შრომისადმი გულცივობამ, რაც წინად არას დროს არ ყოფილა და გამოწვეულია ხანგრძლივი ბლოკადისა და შიმშილისაგან.

იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილის დაბვრეტა.

ჩეხო-სლოვაკების პრესბიუროს ცნობით იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილი თებერვლის 25 დახვრიტეს. ეს ცნობა ჯერ არ დადასტურებულა. „ბერლინეო ცაიტუნგ ან მიტაგი“ ამის გამო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დღეებში იტალიის ჩრდილოეთი საზღვრები დაკეტილი იყო, რის გამოც საფიქრებელია, რომ იტალიაში მუშათა შორის დიდი მღელვარებაა. ჯერჯერობით ეს ცნობა არ გამართლებულა.

ინგლისური პრესა

გერმანიის დასავლეთ საზღვრებისთვის.

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანიის დასავლეთის საზღვრების საკითხს საზავო კონფერენციის პრეზიდიუმი ამ კვირაში განიხილავს.

ნაომარ ხარჯების ანაზღაურება.

ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიას და არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს არ ძალუძს ომისაგან გამოწვეულ მთელი ზარალის და ყველა ხარჯების ანაზღაურება. დელეგატები იმ პრაქტიკულ აზრს დაადგენ, რომ გერმანიის დიდი ვალდებულობა აწევს მოკავშირეებისადმი. ამის გამო გერმანიას გაკოტრება მოელის; ექსპერტების აზრით გერმანიამ უნდა ვადაიხადოს იმდენი, რამდენის გადახდაც შეუძლია. პიშონმა ამას წინად განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვას დროს უნდა გამოარკვიონ ის ჯამი, რომლის გადახდაც შეუძლია გერმანიას; უნდა გამოარკვიონ რამდენი მოსთხოვონ გერმანიას და შემდეგ უნდა გამოარკვიონ, თუ ეს თანხა როგორ განაწილდება მოკავშირეთა შორის.

პიშონი მსჯელობს, თუ ავსტრია-ჰუნგრეთის ყოფილი პროვინციები, რომლებიც გამოეყვენ და მოკავშირეთა მფარველობის ქვეშ არიან, რამდენად არიან ვალდებულნი გადაიხადონ მოწინააღმდეგის ვალის ნაწილი. ჩეხოსლოვაკები ვალდებულად სთვლიან თავს გადაიხადონ ვალი.

კლემანსოს მორჩენა

იმედი აქვთ, რომ მოკლე ხანში კლემანსო შესძლებს მუშაობის განახლებას.

ესენის მაღაროები

ესენის მაღაროების მუშებმა გამართეს დიდი მიტინგი, საიდანაც ზომიერი ელემენტები განდევნეს და რომელზედაც იარაღს მიმართეს. მიტინგზე გადასწყდა მოხდეს საყოველთაო გაფიცვა.

შეთქმულობა ვილსონის წინააღმდეგ

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ვილსონის წინააღმდეგ შეთქმულობის გამო 4 ესპანელი დააპატიმრეს.

საზავო კონფერენცია

საზავო კონფერენციამ გადასწყიტა მუშაობა არ შეწყვიტოს ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი მოხსენება ხელფასის და სამუშაო საათების რაოდენობის შესახებ. მოხსენებების წარდგენას მარტის 20-თვის მოელიან. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სამრეწველო კონფერენციაზე მყოფ პრემიერს დეპუტაციის მეთაურმა სმილმა განუცხადა დეპუტაციის მოთხოვნილება, რომ მაღაროს მუშებს უფლება მიეცეს კომისიის წევრთა ნახევარი მუშებმა აირჩიონ. მოთხოვნილება დაკმაყოფილეს.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. (ც. ა. კ. ბიუდეტენი).

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტზე აღსანიშნავი არაფერია. დასავლეთის ფრონტი. ნარვის რაიონში ესტონიის წითელ გარდიელებმა მდინარე ნარვაზე სოფლები დაიჭირეს. ნარვის სამხრეთით ესტონიის არტილერია ნარვას ესროდა. ჩუდის რაიონში მოწინააღმდეგის ნაწილები ჩვენს პოზიციებს ესროდა. ვოლმარის მიმართულებით ლატიშელთა წიოელმა არმიამ მარიენბურგის დასავლეთით სოფლები დაიჭირა. მიტავის რაიონში მზვერავთა რაზმი მოქმედობს. სამხრეთი ფრონტი. მილეროვის მიმართულებით მოწინააღმდეგე დავამარცხეთ. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ჩვენ დავიჭირეთ სადგური პლიუშჩი, ჩერნიშკოვი და ობლავსკაია. აღმოსავლეთის ფრონტი. ორსკის მიმართულებით მდ. ჩებაკანაზე სოფლები დავიჭირეთ. სტერლიტამაკის მიმართულებით იტკულოვო დავიჭირეთ. სარაპულის მიმართულებით კრასნოვომის რკინის გზის ლიანდაგთან მოწინააღმდეგეს იერიშები მოაქვს. პერმის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. მდ. ლოკვესთან ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა.

კიევი, თებერვლის 26. საბჭოთა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა ნიკოლაევი.

ფსკოვი, თებ. 25. 20 თებ. ფსკოვის ფრონტზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ტროიცკის განკარგულებით მე-49 პოლკს საპატიო დროშა ებოძა კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლისთვის.

ესტონიის საბჭოთა ჯარის შტაბი. ესტონიის საბჭოთა ჯარის შტაბმა მოუწოდა ესტონელებს ყველა უმიწოები ჩაეწერენ წითელ არმიაში. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრობის დროს სახალხო კომისართა საბჭოს შრომის კომუნის თავმჯდომარემ ანველტმ სთქვა, რომ თეთრგვარდიელებს შორის მღელვარებაა.

კიევი, თებ. 25. კიევში დირექტორიის მიერ ბრავალი საბჭოდრო ქონებაა დატოვებული. დარჩენილია 3,000 ტყვიისმფრქვეველი, 500-ზე მეტი ავტომობილია მილიონი ფუთი ქაღალდი, რამოდენიმე მილიონი ფარაჯა, 100-ზე მეტი ახალი ზარბაზანი და 10,000 თოფი. საჩქაროთ გადაჯგუფების გამო თითქმის ყველა მატარებლები ხელში ჩაგვივარდა. ბერდიჩევში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები შესდგა, შესდგა წითელ არმიელთა ნაწილები, რომლებიც სეჩევიკებს თავს ესხმიან და იარაღს ართმევენ.

მოსკოვი. (გაგრძელება). 17 თებ. პეტლიურას ბრძანებით დაატყვევეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯარის შტაბი დაუკითხავად ფრონტის დატოვების გამო. დირექტორიისა მოკავშირეთა შორის დადებულ ხელშეკრულებისა და მთავრობის შემადგენლობიდან სოციალისტების განდევნის გამო. ჯარის კაცები და აფიცრები უარს აცხადებენ საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამიტომ მთელ ფრონტზე უბრძოლველად უკან იხევენ. დირექტორიის ჯარი უკან დახევის დროს ანადგურებს სადგურებს, ტელეგრაფს და სხ. სეჩევიკები, რომ თავი გაინთავისუფლონ საბჭოთა ჯარის დევნისაგან, რკინის გზის ხიდებს აფეთქებენ. უკრაინის სოც.-დემ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, გამოიწვიოს თავისი წარმომადგენლები დირექტორიის შემადგენლობიდან. ვინიჩენკო დირექტორიის შემადგენლობიდან გამოვიდა. პეტლიურამ დირექტორიაში პარტიიდან გამოსვლის განცხადება შეიტანა.

სომხეთის საელჩომ მუშაობა დაიწყო.

ვინიცა. 27 თებ. საბჭოთა ჯარის მიერ ფასტოვის დაჭერის შემდეგ დირექტორიამ გასცა ბრძანება, ვინიდან მთელი ქონება გალიციაში გადაიტანონ. პირველად გადაიტანეს ხაზინა და სამხედრო მასალები.

ეკატერინოსლავი. თებ. 26. მემარცხენე ესერების მიერ მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა დახურა მემარცხენე ესერების ორგანო და რამდენიმე კაცი დაატუსაღა. დახურეს აგრეთვე ანარქისტების ორგანო „ნაბატი“.

მინსკი. თებ. 26, სლონიმთან დიდი ბრძოლა მოგვიხდა პოლონელებთან. სლონიმი ჩვენს ხელშია.

მოსკოვი, თებ. 27 პარტიული ყრილობა 17 მარტისთვის გადასდვეს.

ფასტოვი, 26 თებ. საბჭოთა ჯარმა დაიჭირა სადგური კაზანკა და შეტევას აწარმოებს იმ ადგილებში, სადაც კიდევ იმყოფება დირექტორიის ჯარი. დირექტორიის ჯარს შეადგენენ განსაკუთრებით გალიციელნი და გეტმანის აფიცრები. საბჭოთა ჯარმა დაიჭირა ბელაია ცერკოვი.

ხარკოვი. თებ. 26. რაკოვსკი იუწყება რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ნოტა სადაც პროტესტს უცხადებს დირექტორიასთან ხელშეკრულების დადების გამო. ამ ხელშეკრულების ძალით უკრაინის მთელი რკინის გზები და მრეწველობა საფრანგეთის ხელში გადადის. საფრანგეთის მთავრობას ეგზავნება მეორე ნოტა, საფრანგეთის სარდლობის ყოფაქცევის გამო. ასეთივე ნოტა ეგზავნება რუმინიის და საბერძნეთის მთავრობებს.

პეტეროგრადი. თებერვლის 26. შინაგან საქმეთა კომისარიატი ადგენს ამბიციას, შუბლ-გაშლილ: დააღონებდა ქვეშევრდომებს ბის სახელზედ ჭმუნვის ღრუბელი.

— ჩემო ზაზა, ხომ ფრთხილადა ხარ, ხომ ყველგან არის თავდარიგი დაჭერილი?

— დიღ, ბატონო! ყველაფერი საომარ ფეხზედ არის დაყენებული.

— მაინც?

— თვით მანგლისის ციხეში შეიარაღებული რაზმი სდგას გუშაგად. მეორე რაზმი ქვევით დავაყენე, ალგეთის ხევის ვიწროებში; ცხენოსანი რაზმია იქ. აქათ, ციცამობისკენ, ორ ადგილასა სდგას მცველი ჯგუფ-ჯგუფად. ხაბძანები აქვსთ საჭირო ჟამს ყველოთა ხმა გაამაღლონ, ბუკის ხმა ამამაღლონ, დაბდაბსა ჰკრან.

— კარგად გიფიქრია!

— არაფრის შიში კი არ არის, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივა.

— ოლონდაც!

— მე ვფიქრობ, თუ მტერმა გაბედა თავდასხმა, ეს ჩვენთან წამოსული ხალხი ზევით უნდა დავმალოთ. ყინულიან მღვიმეებში. მტერი ვერც კი მოიფიქრებს მათ არსებობას.

— ვერც შეჰბედავს: იმ ნაპრალთა პირში ერთი ასს გაუმკლავდება.

— ეგეც კარგი აზრია. მაგრამ მღვიმეები მოშორებით არის აქადგან და ლამის წყვდიადში შეუძლებელი იქმნება იქ ხალხის შეხიზვნა.

სდუმდნენ ყველანი. ძილს მისცეს თავი.

ვახილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

ორი შემაფერხებელი გარემოებაც ისპობა.

თუ პანამის არხი შეუდარებლად აადვილებს ტრანსპორტის საქმეს და შესაძლებლად ჰხდის სულ მოკლე ხანში დიდ გემებით მოაყარონ ბაზარზე ამერიკის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები: პური, ხე-ტყე, ბამბეულობა და სხვა, თუ მიიღებთ მხედველობაში რომ ეგ ნაწარმოებები ძალზე იაფია მიწის იაფობის გამო, რომ ამერიკაში ხელფასი ნორმალურია და მოქალაქობრივი მშვიდობიანობა უზრუნველჰყოფს მყუდრო ეკონომიურ მუშაობას, ცხადი იქნება, რომ ევროპის ბაზარს ამერიკის ნაწარმოები დაისუფლებს, მას მხოლოდ ინდოეთი იაპონია და ჩინეთი თუ გაუწევს მეტოქეობას. რუსეთზე ფიქრი, მით უმეტეს მისი განადგურების შემდეგ ზედ-მეტია. საფრანგეთის სასოფლო მეურნეობა ომამდე განიცდიდა მწვავე დეკადანს და ომის შემდეგ ის ფეხზე ველარ წამოდგება. გერმანია და ინგლისი სასოფლო მეურნეობის მხრივ თავის თავსაც ვერ აკმაყოფილებდნენ წინად მხოლოდ რუმინია თუ შესძლებს ერთ ხანს შეინარჩუნოს ბაზარი. მაგრამ მიწის სიძვირე მასაც ხელს შეუშლის.

ნედლი მასალების იმედი ვერც საქართველოს ექნება. ხორბლეულობას და სიმინდს ჩვენზე იაფად ბლომათ ამერიკა მისცემს ევროპას. ხე-ტყეც ამერიკას უფრო ბლომად აქვს და იაფიც უჯდება. სვანეთისა და აფხაზეთის ტყეების დაუშავება და გადმოტანა ჩვენ უფრო მეტი დაგვიჯდება ვიდრე ამერიკელებს ხე-ტყის ევროპაში გადაზიდვა. 1912 წელს ჯერ ჩვენში ფუთი სიმინდი მანეთი და ექვსი აბაზი იყო, ამერიკისა კი ევროპაში გადატანილი მთელი ორი შაურით ნაკლები. ჩვენ წინათ მივუთითებდით ჩვენს ხელმძღვანელს რომ საქართველოს საჭიროა მაღალ კულტურის მცენარეების მოყვანაზე გადასვლა ვენახებისა და ბაღების თუ პლანტაციების გაშენებაზე, რომ მსოფლიო ვაჭრობის ზოგიერთ ცვლილებები მოუძზადებლად თავს არ დაგვატყდეს.

ამის გარდა ჩვენი მდგომარეობა მცირე აზიაში მეტად ხელსაყრელია თვით წარმოების ნედლ მასალათა დამუშავებისათვის. თუ ჩვენ მრეწველობითი განვითარებას ხელი არ ჩავკიდეთ, თუ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა მთელი თვისი სიძლიერით აქეთკენ არ ამუშავდა, ჩვენ ბევრს დავკარგავთ: ჩვენ დაგვასწრობენ სხვები, რომელნიც ჩვენსა და ჩვენ მესაზღვრე სახელმწიფოებში ნაწარმოებ ნედლ მასალას და ჩვენზე წინ გაიჩენენ ბაზრებს, დაიუფლებენ მათ, საიდანაც შემდეგ მათი გადევნა, ძნელი იქნება. ფინანსიურად კი ჩვენი სახელმწიფოს ერთად-ერთი იმედი უნდა იყოს მხოლოდ მრეწველობის განვითარება და ის მჭიდრო უნდა იყოს შეკ ვშირებული ეკონომიურ პოლიტიკასთან. სახელმწიფოს ფინანსები ათი წლობითი მიზან შეწონილ გეგმით წესრიგდება და გარდა მომჭირნეობისა და გადასახადების განაწილებას ტეხნიკის გაუმჯობესებისა, ის ჰსაჭიროებს აგრედვე შემოსავლისას ახალ-ახალ წყაროებს რაც მხოლოდ ეკონომიურ წარმოებათა გამრავლებით მოხდება ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკა მიიმართოს სამრეწველო წარმოებათა გამრავლებისაკენ, იქნება ის აქციონერული თუ კოოპერატიული.

ტ. მარგველაშვილი.

ტრფობა ნამეგული

(ისტორიული რომანი)

12.

ჯერ ვერ მივიდოდა აშოტი ლტოლვილთა ბანაკში. გამოცდილი სარდალი იყო უკვე ნაწრთობი, რომელს დამარცხებაც განეცადა, ბევრი გამარჯვებაც დიადი. ისეც სამხედრო ნიჭით დაჯილდოვებულს კარგად ესმოდა ლაშქრის გულისთქმა, მისი სულიერი განწყობილება ამა თუ იმ წამს, განსაცდელისა თუ წარმატების ჟამს, და ვერ გაუშვებდა ხელიდგან ამისთანა ძვირფას შემთხვევას მოწყალე ბედისაგან მისდა მინიჭებულს. სდიადტერს მსწრაფლის დევნით, არ მისცა შეძლება თავს მოჰგებოდა, არ ანება დრო შეფერხებულ-შემაგრებულიყო რომელსამე ბურჯთან ან ვისმე გარშემო ჰაზრიმექონისა ჯგუფ-ჯგუფად დადევნებული ძლევამოსილი ჯარი ქართველთა მისდევდა და დაეფრთხალ მტერს, რომელი ხელიდან იარაღსა ჰყოფიდა გამარჯვებულთა წინაშე, უბრძოლველად ჰნებდებოდა თავზარ ნაცემი. არ დასცხრა აშოტი, სანამ არ განდევნა მტერი ციხეებიდან, რომელნი თბილისის შესანახ-დასაცველად იყვნენ აღმართულნი მიუვალ ადგილებზედ. შედგა აქ. ამ ციხეებს, თავის-თავადაც მაგრებს და ძნელად საომრებს, ზურგს უმაგრებდნენ თვით თბილისის ციხეები მათში მდგომ უმთავრესი ჯარით ემირისა. მთელი კვირა მოუხდა აშოტი არემარეთა გაწმენდას მტრისაგან და გადასავალ ადგილების გამაგრებას. ბოლოს შებრუნდა მანგლისს და შესწირა მსხვერპლი სამადლობელი.

მანგლისის ხატს ისე ვერ ილოცავდა მაშინ ქართველი, იმავე დროს თაყვანი არ ეცა მისი პირდაპირ ამართულ მწვერვალზედ დადგმულ ქვის ჯვარისათვის. მანგლისის ტაძრის გასწვრივ, ალაგეთის გალმა, მთის წვერზედ ამართული იყო მთლიან გელაზისაგან გამოკვეთილი უზარმაზარი ჯვარი, რომელი ჩამკვიდრებული იყო სალ-კლდეზედ ამოჭრილ სილრმეში. ქვის სადგომში ურყევლად დასმული ქვის უზარმაზარი ჯვარი ფართო მანძილზედ გარშემორტყმული იყო დიდ-რონ-დიდრონი გელაზებით. ეს ვეება ჯვარი და მის გარშემო დახავსებული ლოდების ყორე გარინდებული დაჰმზეროდნენ ალგეთს, მის პირდაპირ-დად შემკულ ხეობას, რომლის იერი წუთ-და-წუთს იცვლებოდა ფერად-ფერადად: ხან ნათლდებოდა, კამკაშდებოდა; ხან ბუნდდებოდა, თუ ბნელდებოდა ლაჟვარდი სივრცე უმუქდება. ეს ბუმბერაზი ჯვარი და გელაზების ყორე ურყევ მარად სობასა ჰსახარდნენ ბუნების ცვალებად მოვლენათა სპრბილაში; საუკუნო ყოფნას აგრძნობინებდნენ ადამიანის გულს, უცვლელ მუდმივობას ერთ ფერს, ერთ სახეს, რომლის გარემო დაუცხრომელად ტრიალებს მრავალ სახეობა არსებობისა.

— მანგლისის ხატი და ეს ჯვარის მტვირთელი მწვერვალი ძალთა ურთიერთობაში აოიან, განუწყვეტელი კავშირი იხილვების ამ დიდებულ სიწმიდეთა შორის.

— როგორ?!

— სიმრგვლე რამ ციცხლის მფრქვეველი აღმოჩნდება ჯვარის ფრთებს შორის, იგი ბირთვი მნათობი მოსწყდება მფრინავ ვარსკვლავად, ჩაეფინება ხეობას და აშუქდება მდინარის გალმა ტაძრის გუმბათიზედ. რამდენსამე წუთს ციაგსა ჰფენს მთელ არემარეს.

— ჩამოქუშულ-ჩამობნელებულ ციდან ჩამოეშვება გველეშაპი ფრთოსანი, შემოეხვევა ჯვარის სავანეს და იბყრობს მას წყვდიადის იგი მოციქული, იგლვებს ტაძრის გუმბათიდან ხმალი ციცხლისა, გარდაერთხმევა ალგეთის ხევს და განჰკვეთს ალის მფრქვეველი წვერით გველეშაპს, განაქარვებს მის ჯადოსნობას.

— ამ ხეობის მფარველი ხატი ბრძანდება აქ. ჯვარის ადგილიც, ტაძარიც მისი სავანე არის. გველაშაპს იმისთვის არ ძალუძს დაეპატრონოს ამ თეალთწარმტაც წმიდა მიდამოს, დაიმონოს სამუდამოდ, რომ მოსპოს აქ ქართველთა ნასახი.

— კარგა ხანია აღარ გამოჩენილა ამ ხატის ძალა.

— არ განერების ხატი ძლიერი ამ წმიდა ადგილთ. ცოდვათა ჩვენთა სიმრავლე დაჰფარავს მას ჟამითიჟამად თვალთაგან ჩვენთა, გარნა შენანებთ და კვლავ გამობრწყინდების იგი ამა მწკერვალზედ ჯვარიცა წმიდა ჟამითიჟამად განეოთხმის მიწას ქართველთა ცოდვით შემძიმებული, გარნა კვლავ აღზდგების პატიოსანი ნიშნად საქართველოს მკვდრეთით აღდგომისა.

სამადლობელი მსხვერპლის შემწირველი მეფე ვერ გასდგამდა ფეხს ალგეთის ხეობიდან, თუ თაყვანი არ ეცა იმ ჯვარისათვის. აბრძანდა ღამის სათევლად. ხალხიც აჰყვა მეფესთან შემოკრებილი. ქართულად მხიარულობდა ქართველთა ლაშქარი თვის მეუფის კარს, ახლო იყო მწვერვალთან და ღმერთი ჰხედავდა თავის ერის სამადლობელ ზეიმს, ლმობიერად ეღიმოდა სახიერი თვის შვილებს, რომელთათვის გადაეფარებინა ამ ჟამად წყალობის კალთა. ხალხი ისევ ღრეობდა, როცა მეფე განშორდა მათ და შებრძანდა თვის კარავში მოსასვენებლად. თან შეჰყვნენ სარდალი ზაზა, ვეზირი ბარძიმი და ორიოდე თანამშრომელი. სარეცელზედ და მოსვენებით ძილზედ აქ ფიქრიც არ შეიძლებოდა. ერთი კვირა იყო ჯაჭვი არ გაეხადნათ ტანიდან. მხოლოდ მეზარადები მოეხსნათ და მეტი იარაღი. ისინიც იქვე ეწყო, რომ ყოველს წამს მზადა ყოფილიყვნენ საბრძოლველად. მეფე მხართეძზედ იყო წამოწოლილი. ფიქრს მისცემოდა. ზრუნვა უთამაშებდა სახეზედ. ხალხში კი მხიარულად ბრძანდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის საბჭოთა ყრილობის მოსაწვევათ, რომელმაც უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ქვეყნების რესპუბლიკებთან შეთანხმების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. საბჭოთა ყრილობაზე მოწვეულია რუსეთის, ლატვიის და ბელორუსიის წარმომადგენელი. ახლა ჩვენ დირექტორიას წინადადებას ვაძლევთ შესწყვიტოს სამოქალაქო ომი, სამაგიეროთ კი ვპირდებით, რომ ნებას მივცემთ საშუალებას ლეგალურად იმუშავონ იმ პარტიებმა, რომლებიც დირექტორიაში შედის. კომუნისტებმა დაამტკიცეს, რომ სამოქალაქო ომი დირექტორიამ დაიწყო, რადგან მან არჩია უკრაინა მსოფლიო იმპერიალიზმისთვის დაემორჩილებია. ოლონდ კი ჩვენი პირობები არ მიეღო. საბედნიეროთ ჩვენს ხელშია რკინის გზები, რომელიც გ-ნ პეტლიურებს და სიდორინკოებს საფრანგეთისთვის უნდა გადაეცათ. დირექტორიის ჯარი მალე განდევნილი იქნება უკრაინის ტერიტორიის იმ უმნიშვნელო ნაწილებიდანაც, რომელიც მათ ჯერ კიდევ უჭირავს და უკრაინაში საბჭოთა მთავრობა გამეფდება.

ჩერნიგოვი, თებ. 25. პეტლიურას მიერ ჯარში გაწვეული პოდოლის გუბერნიის იამპოლის მაზრის გლეხები წითელი არმიის მხარეზე გადავიდენ. გადავიდა აგრეთვე უმერინკა ბარზულის ხაზზე მდგარი პეტლიურას ჯარი მთელი თავისი იარაღით.

სიმფეროპოლი, თებერ. 25. გამოცხადდა სამხედრო წესები. დენიკინის სამხედრო დიქტატურა მთელ ყირიმზე ვრცელდება. ყირიმში მდგომარეობა მწვავდება. უკრაინის საბჭოთა ჯარის წინსვლა მოხალისეთა ჯარს აიძულებს ჯარი ყუბანიდან ყირიმში გადაიყვანს. რადგანაც ბოლო დროს მოხალისეთა ჯარიდან მრავლათ გადადიან წითელ არმიაში, დენიკინმა ბრძანება გასცა, რომ სასტიკ ზომებს მიმართონ გადასულთა წინააღმდეგ.

ხარკოვი, თებ. 25. ხმებია, რომ ბერდიჩევში დირექტორია ჩამოაგდეს და საბჭო შეადგინეს. სდგება აჯანყებულთა რაზმები, რომელნიც უკან დახეულ სეჩევიკებს იარაღს ჭყრიან.

ჩერნიგოვი, თებ. 25. უკრაინის ყველა ქალაქებიდან იუწყებიან, რომ უკრაინის მენშევიკების, ესერების და გუნდის რამდენიმე ორგანიზაციამ დაადგინა კომუნისტებს შეუერთდენ.

ორენბურგი, თებ. 25. მარტის 5—თვის დანიშნულია ორენბურგის დეპუტატთა საბჭოს არჩევნები.

ფორსიკი, (?) თებ. 26. ვილსონის ჩამოსვლის წინ ბოსტონში აღმოაჩინეს შეთქმულება. უკანასკნელი ვილსონზე თავდასხმას აპირებდენ.

ბუდაპეშტი, თებ. 18. აღმოაჩინეს რეაქციონერთა შეთქმულება რესპუბლიკის წინააღმდეგ. დააპატიმრეს რამოდენიმე პირი.

სტოგჰოლმი, თებ. 18. ნიურკის ბირჟაზე მანეთის კურსმა აიწია.

ჰელსინგფორსი. თებ. 20. ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მუშათა ბევრი ორგანიზაცია დაიხურება, რადგან ისინი მავნე ბუდეს წარმოადგენენ. პროპაგანდის მოსასპობათ მთავრობა აწესებს ჩამოსულთა თვალყურის სადევნებლათ საგანგებო საპოლიციო ორგანოებს.

დენიკინის ჯარის პოზიცია.

თბილისი, თებ. 27. (ინგლისის მისიის ცნობა). „ჩვენ გავიგეთ, რომ ბოლშევიკური პრესის ცნობა, თითქოს როსტოვში და ნოვოჩერკასკში პანიკაა, სიმართლეს მოკლებულია. მეორე ცნობით ამ ქალაქებში სრული სიწყნარეა და გენერალ დენიკინის ჯარის პოზიცია ცარიცინის დასავლეთით ურყევია.

ეკატერინოდარიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გენერალ დენიკინის ჯარმა 20 ვერსით წინ წაიწია დონის მთელ სამხრეთ ფრონტზე. წამოიყვანა მრავალი ტყვე და ხელთ იგდო დიდძალი იარაღი. ჩრდილოეთ კავკასიაში სიწყნარეა.

ზიზღი უწესოების ჩადენს

თბილისის ზოგიერთ გაზეთებში ამოვიკითხე მეტად სამწუხარო მოვლენა: ზოგიერთი—ქართველი ოფიცრები მთვრალები შედიან ქართულ კლუბში, იარაღით ხელში უწესოებას ჩადიან და შეურაცხყოფას აყენებენ, როგორც საზოგადოებას, აგრეთვე კლუბის მამასახლისებსაც. ამის გამო კლუბის გამგეობას კრება მოუხდენია და დაუდგენია დაიქირაოს შეიარაღებული ძალა, რომლებიც იარაღს აყრიან კლუბში შემსვლელ ოფიცრებს.

დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლება განსაცდელშია და მას გარშემო აოასგვარი მტერი ასევია და მისი ნორჩი ჯარი კიდევ ჯეროვან საფეხურზე არა სდგას და მის სწავლა აღზრდას დიდი მუშაობა სჭირდება, ჩვენი ზოგიერთი ქართველი ოფიცრობა, მის მაგიერ რომ იმუშაოს და თავისი წმინდა მოვალეობა აასრულოს სამშობლოს წინაშე, თვრებიან, უწესოებას ჩადიან, შეურაცყოფას აყენებენ საზოგადოებას და ჩირქსა სცხებენ არა მარტო თავიანთ თავს, არამედ მთლად ქართველ ოფიცრობას.

ვსცნობ რა ასეთს საზიზღარ მოვლენებს შეუწყნარებლად, ჩემს გულითად ზიზღს უცხადებ იმ ზოგიერთ ოფიცრებს, რომლებიც ასეთს უწესოებას ჩადიან.

ავ. აბესაძე.

თბილისის გაქართულებისთვის

უკანასკნელი საქალაქო არჩევნები ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სომხობამ და რუს კადეტთა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა საქალაქო არჩევნებს. არჩევნებში ქართველ პარტიებთან ერთად ცალკე სიით გამოვიდა რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტია მაგრამ ისიც დამარცხდა. ფაქტიურად ამ არჩევნებში ქართველებმა გაიმარჯვეს. საბჭო ქართველებისგან შესდგება. საბჭოს დარბაზმაც ფერი იცვალა. საბჭო გაქართულდა. ეს მოვლენა სიხარულით აავსებს ყოველი ქართველი პატრიოტის გულს. რამდენად წინანდელი საბჭოს საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას არ გასცილებია, იმდენად ახალი საბჭოს საქმიანობა ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცება-გამაგრებას უნდა ემსახურებოდეს. იქ აღარ სხედან ჩვენი მოწინააღმდეგე ხანდანოვ-აგაჯიანები. დღეს საბჭოს მიზანი უნდა იყოს თბილისის გაქართულება, და ყველანი ამ მიზნისთვის უნდა შეიკრიფოთ.

თბილისი საქართველოს გულია. ამაზე ლაპარაკი მეტია. აქ უნდა დაგროვდეს ქართველობის ეკონომიური ძალა კულტურა და დოვლათი. ერთი სიტყვით თბილისი ქართველი ერის სულით უნდა ჰსუნთქავდეს.

ქალაქის საბჭომ უნდა შესძლოს ქალაქის სულიერი ოპერაცია. რამდენადაც ვიცი საბჭო ორი წლის ვადით არის არჩეული. დრო საკმარისია და შერჩეულიც. ამ ორ წელიწადში დაახლოებით უნდა გაიჭედოს თითქმის ყველა აფორიაქებულ დიდ და პატარა ერთა ბედ-იღბალი. მათ შორის საქართველოსიც. და ნუ თუ ეს დრო თბილისის განახლებისათვის საკმაო არ იქნება? უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის გარეგან სახეს. ქუჩებისა და უბნების სახელებს და მათ უცხო ენებზე წარწერებს, ქუჩების სახელების გადასასინჯად. ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე უკვე აირჩია კომისია. მინდა ვიწამო რომ კომისია სერიოზულად შეხედავს ქუჩების გაეროვნებას და არ დაკმაყოფილდება მხოლოდ ქუჩების სახელების ქართულად წარწერით, არამედ ქართულ სახელებს უწოდებს მათ. და ისე არ მოიქცევა, როგორც ქალაქის ძველი საბჭო, რომელმაც, ისეთ დიდ ქუჩას, როგორც მიხაილოვის ქუჩაა, პლეხანოვის ქუჩა დაარქვა, ვითომ ქართველ ერს პლეხანოვზე უკეთესი საზოგადო მოღვაწე არ ყოლოდეს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სავაჭრო სახლებზე წარწერებს, დაუყონებლივ უნდა მოხდეს განკარგულება სავაჭროებზე რუსული წარწერები ქართულათ შეიცვალოს.

ამასთანავე უნდა მოხდეს გაეროვნება შეძლებისდაგვარად ქალაქის გამგეობისა და მის ხელქვეით დაწესებულებათა.

დასასრულ ქალაქის საბჭომ გაეროვნების საქმეში თავისი სიძლიერე იმას უნდა მოახმაროს, რომ თბილისი ფაქტიურად ქართველ ხალხის ხელში გადავიდეს. ამისათვის კი საჭიროა არა მარტო ქართველ ვაჭარ მრეწველთა მფარველობა არამედ მათი ერთგვარი მობილიზაციაც კი.

ერთი სიტყვით ქალაქის ახალ გამგეობამ უნდა ქართული სული შთაჰბეროს ქალაქს, და აღადგინოს მისი ნამდვილი სახე.

აი ის დიდი მოვალეობა, რომელიც მათ თბილისის ქართველობამ კონვერტებით გადასცა.

ჩვენ გვჯერა რომ თავის დანიშნულებას ისინი სვინდისიერად შეასრულებენ.

ელ. პატარიძე.

საქონლის ჭირი საქართველოში

დღეს საქართველოს ძალიან მოსდგია საქონლის ჭირი. აღარ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ ეს დაუპატიჟებელი სტუმარი არ სწვეოდეს. ხალხი მეტად შეწუხებულია: ერთის მხრით სახადი და „ისპანკა“ ავლებს მუსრს ადამიანებს, მეორეს მხრით საქონლის ჭირი—საქონელს.

მართალია ეპიდემიებთან და ეპოზოოტიებთან ბრძოლას ყოველთვის აწარმოებდა სახელმწიფო, მაგრამ დღეს საქართველო ისეთ განსაკუთრებულ პირობებშია, რომ დაძლევა და მოსპობა ამ სენებისა არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ეს პირველ შეხედვით სჩანს.

მთავრობამ 16 იანვრის სხდომაზე დაადგინა: გადადებულ იქნას ერთი მილიონი მანეთი ეპიდემიებთან ბრძოლის საწარმოებლად და ერთი მილიონიც საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. მაგრამ რას შეადგენს დღეს ეს მილიონი მანეთი, როდესაც ყველაფერი უზომოთ გაძვირდა. ერთად ერთი უებარი საშვალება ჭირის წინააღმდეგ არის აცრა საქონლისა შრატით და სწორედ ეს შრატი არ მოგვეპოვება. მართალია დავაარსეთ ქუთაისში სადგური შრატის დასამზადებელი, მაგრამ ეს სადგური მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება უსახსრობის გამო. დღეს იგი თვიურად ამზადებს 200 ლიტრამდე შრატს, რაც ეყოფა მხოლოდ 2000 სულს საქონელს. ამ საათში კი ათჯერ მეტი შრატია საჭირო საქართველოს საქონლისათვის.

სადგურს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სულ მუდამ 300 სულამდე ხარი და ამათთვის საჭირო საკვები (თივა ბზე) და საძოვარი, რათა მივიღოთ საკმარისი საქართველოს საქონლისთვის ასაცრელი შრატი. დაახლოებით სადგურის ფეხზედ დასაყენებლად და საკმაო შრატის მისაღებად საჭირო იქნება სულ ცოტა, ორი მილიონი მანეთი მაინც. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის მიერ გადადებული ერთი მილიონი, მაშასადამე, არ კმარა. ან კიდევ უნდა გადაიდოს ფული ან არა და სამაზრო ერობები უნდა გამოვიდნენ დასახმარებლად. ზოგიერთმა ერობებმა კიდეც გამოაცხადეს სურვილი დახმარების აღმოჩენისა და შეუდგნენ კიდეც ამ სურვილის განხორციელებას. ერობების ამისთანა ნაბიჯები ჩვენ დიდათ გვასიამოვნებს და იმედებით გვეგსება გული, რომ ახლო მომავალში საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმე ისე კარგათ მოეწყობა, როგორც შეჰფერის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ, რომ თავშივე უნდა გამოსწორდეს ერთი მეტად უხეში შეცდომა. ქ. ქუთაისი არაა შესაფერისი ადგილი შტარის დასამზადებელ სადგურისთვის. სადგურს სჭირია ადგილი, შემკობილი საღი მთის ჰაერით, საღი წყლით და ალპიური საძოვარ-სათიბებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელს ზარალი მიეცემა სხვადასხვა ავადმყოფობისაგან, რომელნიც ბუდობენ დაბალ ჭაობიან ადგილებში. საუკეთესო ადგილათ ჩვენ მიგვაჩნია გომბორის მიდამოები, კახეთის შარა-გზაზედ მდებარე. ეს მიდამოები შემკობილია ჩინებული საძოვარ-სათიბი ადგილებით, საღი მთის ჰაერით და წყაროებით. აქვე მოიპოვება საყაზარმე შენობები, რომლებიც შეიძლება იქმნენ გამოყენებულნი სადგურისათვის და ამით იქმნას თავიდან აცილებული ზედ-მეტი ხარჯები.

გარდა ამისა, რადგან უსახსრობა მეტათ გვიცარავს ხელს და აბრკოლებს საქმეს, აუცილებლად უნდა იქმნას გაუქმებული ანაზღაურება სახელმწიფო ხარჯით ჭირისაგან დაზარალებულთა. ეს ორი წელია, ხაზინას არ გადაუხდია ვალი, 1 მილიონ ნახევრამდე ასული. კიდევ მეტსაც ვიტყვით, აუცილებლივ უნდა დაწესდეს გაყიდვა შრატისა, რომ აქედან შემოსულმა ფულმა გაისტუმროს ყველა ხარჯები, გაწეული შრატის სადგურის შესახახათ.

საქართველოს რესპუბლიკის საბეითლო-სასანიტარო სამმართველოს მიერ უკვე არის წარდგენილი მოხსენებები მთავრობაში ყველა ამ ზომების დასაკანონებლათ და იმედია, მთავრობა ახლო მომავალში გამოსცემს შესაფერს კანონებს. ამით საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეს საქართველოში ჩაეყრება მკვიდრი საძირკველი და ჩვენი ხალხიც უზრუნველყოფილი იქნება იმ უზომო ზარალისაგან, რომელიც მისთვის მოაქვს ამ ჭირს. (კ.)

ბეითალი.

საგარეო მოხელეების მდგომარეობა

რომ სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეები დღეს უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან ნივთიერი მხრით, ეს ცხადია.

როდესაც მოხელეთა ცხოვრებას უკვირდები გიკვირს თუ რანაირად ახერხებენ ისინი ცხოვრებას იმ 500—600 მანეთით, რასაც მათ სახელმწიფო აძლევს. და რომ ამ ფულით ადამიანური ცხოვრება არ შეიძლება, ამას ამტკიცებს მოხელეთა ჩაცვივნული თვალები, გაყვითლებული პირისახე და დაფლეთილი ტანისამოსი.

მაგრამ თვისი უმწეო მდგომარეობით განირჩევიან სხვებისაგან, საბაჟო დაწესებულებების მოხელენი, რომელთანაც შედარებით სხვა დაწესებულებათა მოხელენი არისტოკრატიას შეადგენენ, როგორც ნივთიერად, ისე სამსახურის პირობებით. მაშინ, როდესაც დაწესებულებათა მოხელეები ერთ და იმავე ადგილს, ცოტად თუ ბევრად ჰიგიენურად მოწყობილ ბინებში ეწევიან სამსახურს, ამ დროს საბაჟოს მოხელეთა უმეტესობა, უფრო კი მოსაზღვრე საბაჟოებისა, სადაც არ არის არავითარი ბინები მოხელეთათვის, ამასაც მოკლებულ არიან და დღეღამეს ზამთრის ყინვაში და ზაფხულის ჰაპანაქებაში გარედ მუშაობენ.

ამის გარდა, როცა სხვა დაწესებულებათა მოხელეები, სუფთად და წმინდად მოწყობილ კაბინეთებში ეწევიან თავიანთ შრომას, ამ დროს საბაჟოს მოხელე ვალდებულია, როგორც მაძებარი, თავიდგან ბოლომდის გასინჯოს მატარებელი და გემი, შეძვრეს ორთქლმავალში, ჩაიყურყუმალავოს წყლის ბაკში, იმუშაოს ნესტიან სარდაფებში, არ უნდა გაუშვას დაუხედავი არც ერთი გამვლელ-გამომვლელი, ხშირად გული შეუშვიროს ბოროტ მომქმედთა ტყვია-ხანჯალს და ასე უნდა იწვალოს თუ არ უნდა გაეპაროს კონტრაბანდული სახით რაიმე საქონელი. ვიმეორებთ განსაკუთრებულია საბაჟოს მოხელეთა სამსახურის პირობები, თუნდ ის მარტო რომ ავიღოთ, რომ მათთვის მუშაობის განსაზღვრული დრო არ არსებობს. ისინი მუდამ ვალდებულნი არიან თავის „პოსტზე“ იდგნენ. ასეთს განსაკუთრებულ პირობებს ანგარიშს უწევდა თვით ძველი დესპოტიური რუსეთი და საბაჟოს მოხელეთ არ ურევდა სხვა მოხელეებში და მათ ყოველთვის მეტად უზრუნველყოფდა მატერიალურად აძლევდა მათ ბინებს, შედარებით სხვებთან მეტ ჯამაგირებს და ეგრედ წოდებულ „აქსინდენციის“ ფულს. აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში, ჩააყენა ისინი პენსიის მხრივაც. საპენსიო ვადად დაუნიშნა 20 წლის სამსახური, რომლის შემდეგ მოხელეს შეეძლო პენსიაც ეღო და სამსახურიც განეგრძო.

დღეს არც ერთია და არც მეორე. ჯამაგირებს ჩვენი მთავრობისაგან იღებენ საბაჟო მოხელეები უფრო ნაკლებს სხვებთან შედარებით. ისინი საფინანსო უწყების სხვა მოხელეებთანაც კი არ იყვნენ გათანასწორებულნი ჯამაგირების მხრივ და მხოლოდ ამ ბოლო ხანს დაადგინა მთავრობამ ეს განსხვავება ჯამაგირების მხრივ მოსპობილიყო და საბაჟო მოხელეების საფინანსო უწყების სხვა მოხელეებთან ჯამაგირების მხრივ გასათანასწორებლად პირველი იანვრიდგან წლის დამლევამდე გადასდო 148,500 მანეთი. მაგრამ საკვირველია თუ რად დასაჯა მთავრობამ ხსენებული მოხელეები და დამატებითი კრედიტი ჯამაგირებში გასათანასწორებლად გაუხსნა არა საბაჟოების დაარსების დღიდგან საქართველოში, არამედ მხოლოდ პირველ იანვრიდგან რა დამნაშავეა საბაჟო მოხელე, რომ იმას ნაკლებს აძლევდნენ მთელი 4—5 თვის განმავლობაში ვინემ მის თანამოძმე სხვა დაწესებულებებიდგან და მთავრობამ ეს მხოლოდ ეხლა გაასწორა?! საჭიროა მთავარ საბაჟოს გამგეობამ აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ამის გამოსასწორებლად, ე. ი. რომ საბაჟოს მოხელეებს დამატებითი გამათანასწორებელი ჯამაგირები მიეცესთ არა პირველი იანვრიდგან, არამედ პირველ იანვრამდინაც. თუ საბაჟოს გამგეობა ამას რაიმე მოსაზრებით არ შეასრულებს, მაშინ მოხელეთა ინტერესები უნდა დაიცვას მოხელეთა კოლლექტივმა, რომელიც ხმას არ იღებს ასეთ უსამართლობაზე.

ყუმურისპირელი

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდგან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.
მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
კოკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ე ქ ი მ
ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილო ის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი
ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და სამავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—3

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო
ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაკტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისაძებრ

ზედმეტსაღდომ ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს
და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მიხამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114 —13 პატივისცემით **ვლ. შატბერაშვილი.**

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. ფილიფადი მიზუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 74.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილიან 9—3 საათამდე.

სტამბა კალანდარიისა, გაბაევის შესახვევი № 4.